

„დამტკიცებულია“

სსიპ საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის

სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორის

2017 წლის 9 მარტის ბრძანება № 03-02

საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის მისაღები გამოცდების სპორტული ტურის დებულება

მუხლი 1. დებულების რეგულირების სფერო

1. წინამდებარე დებულება არეგულირებს სსიპ - საქართველოს ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სახელმწიფო საზოგადოებრივი კოლეჯის სპორტული მამართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამებზე მისაღები გამოცდების სპორტული ტურის წესს, პირობებსა და ორგანიზების საკითხებს.

2. ამ დებულების სამართლებრივი საფუძვლებია საქართველოს კანონის „პროფესიული განათლების შესახებ“, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013წლის 27სექტემბრის №152/ნ ბრძანება პროფესიული ტესტირების ჩატარების დამტკიცების თაობაზე და სხვა ნორმატიული აქტები.

მუხლი 2. კოლეჯის პროფესიულ პროგრამებზე (სპეციალობებზე) პირის ჩარიცხვა

1. კოლეჯის სპორტული მამართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე სწავლის უფლების მოპოვება ხდება შესაბამისი კონკურსის და ტესტირების ჩაბარების საფუძველზე. კოლეჯის სპორტული მამართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე ჩარიცხვისთვის სავალდებულოა ერთდროულად ორი პირობის არსებობა 1) ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში მონაწილეობის მიღება და 2) კოლეჯის მიერ დადგენილი წესით კონკურსის გავლა.

პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე რანჟირების დოკუმენტში აპლიკანტის გადანაწილება ხდება ამ სპორტული მამართულების პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა ჩასარიცხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობის, კოლეჯის მიერ დადგენილ კონკურსში და ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში აპლიკანტის მიერ მიღებული შედეგის გათვალისწინებით.

სხვა მამართულების პროფესიულ საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე რანჟირების დოკუმენტში აპლიკანტის გადანაწილება ხდება ამ პროფესიული საგანმანათლებლო პროგრამის პირველად საფეხურზე აპლიკანტთა ჩასარიცხად გამოცხადებული ადგილების რაოდენობისა და ცენტრის მიერ ორგანიზებულ ტესტირებაში აპლიკანტის მიერ მიღებული შედეგის გათვალისწინებით.

პირები კოლეჯის სპორტული ტურის გამოცდებს აბარებენ საერთო ფიზიკურ მომზადებაში;

2. სპორტული ტურის შედეგების მიხედვით დგინდება პირის კომპეტენცია ფიზიკურ მომზადებაში, რაც პროფესიული ტესტირების ჩატარების დებულებით გათვალისწინებული სავალდებულო მინიმალური კომპეტენციის გადალახვის შემთხვევაში ავლენს იმ პირების ნუსხას, რომლებიც მოიპოვებენ სწავლის გაგრძელების უფლებას შესაბამის სპეციალობებზე.

2. ამპროცესში კოლეჯის სპორტული ტურის მიმღები კომისიის პასუხისმგებლობას განეკუთვნება მხოლოდ სპორტული ტურის ორგანიზება და კონკურსის შედეგების დროული მიწოდება პროფესიული ტესტირების ჩატარებაზე პასუხისმგებელი პირისათვის.

მუხლი 3. სპორტული ტურის შეფასების სისტემა

1. სპორტული ტური ფასდება კომისიის მიერ 75 ქულიანი სისტემით; მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა ჩასარიხცად ფასიან სექტორზე (თვითდაფინანსებით სწავლებაზე); მწვრთნელთა და სამთო გამყოლის სპეციალობაზე 45 ქულა; კონკურსი ტარდება სპორტის სახეობებში გამოყოფილი ადგილების მიხედვით;

სპორტული ტურის ნორმატივები საერთო ფიზიკურ მომზადებაში ფასდება:

რბენა 100 მ-ზე (გოგნები,)-- მაქსიმალური 25 ქულა

რბენა 500 მ-ზე (ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა

ადგილიდან სიგრძეზე ხტომა (გოგნები და ვაჟები) -- მაქსიმალური 25 ქულა

ღერძზე მიზიდვა (ვაჟები) - მაქსიმალური 25 ქულა

მკლავების მოხრა-გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე (გოგონები) -- მაქსიმალური 25 ქულა

შენიშვნა: ღერძზე თითო მიზიდვა და მკლავების თითო მოხრა -გაშლა ფასდება 1 ქულით. იხილეთ ნორმატივების შეფასების შკალა (დანართი - 1, 2,)

2. მინიმალური კომპეტენციის ზღვრის არ გადალახვის შემთხვევაში პირი ითვლება ჩაჭრილად და ის არ დაიშვება კონკურსის მიმდევრო ეტაპზე - პროფესიულ ტესტირებაზე.

სპორტული ტურის ჩატარებამდე სპორტული ტურის სამდივნო კონკურსის ინფორმაციული უზრუნველყოფის მიზნით, ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრთან თანამშრომლობით ქმნის აბიტურიენტთა მონაცემთა ბაზებს. საგამაცდო კომისიის სამდივნო უზრუნველყოფს პირთა სპორტული ტურის შედეგების (როგორც ელექტრონული, ასევე ბეჭდური სახით) გადაგზავნას გამოცდების ეროვნული ცენტრისათვის.

სპორტული ტურის განაცხადი .პირთა რეგისტრაცია

კონკურსში მონაწილეობის მიღების საფუძველია პირთა რეგისტრაცია ერთიანი ეროვნული გამოცდებისა და შეფასების ცენტრისა და კოლეჯის მიმღები კომისიის სამდივნოში.

სპორტულ ტურზე რეგისტრაციისათვის საჭიროა შემდეგი დოკუმენტების წარდგენა:

- სრულიზოგადი ან მასთან გათანაბრებული განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი (დედანი);
- ცნობა ჯანმრთელობის შესახებ (ფორმა 100)
- 2 ფოტოსურათი /ზომა 3 x 4/;
- პირადობის მოწმობა /ასლთან ერთად/;
- სპორტულ ტურში მონაწილეობის საორგანიზაციო (რეგისტრაციის და შიდა გამოცდის) საფასურის დამადასტურებელი 55 (ორცოცდათხუთმეტი) ლარიანი სალაროს ქვითარი.

სარეგისტრაციოდ განაცხადისა და დოკუმენტაციის სრული პაკეტის წარდგენის შემდეგ პირზე გაიცემა საიდენტიფიკაციო ბარათი, რომელიც ადასტურებს მის უფლებას მონაწილეობა მიიღოს სპორტულ ტურში. ბარათში მითითებულია სპორტულ ტურზე მონაწილეობის წესი, ჩატარების ადგილის მისამართი და თარიღი. ბარათის გადაცემის ფაქტი დასტურდება პირის ხელმოწერით.

- საიდენტიფიკაციო ბარათში აღნიშნული კონკურსის თარიღის შეცვლა და უშვებელია. პირი ვალდებულია გამოცდაზე გამოცხადდეს დანიშნულ დროზე.

მუხლი 4. სპორტული ტურის პროცედურები

1. პირი ვალდებულია მისაღებ გამოცდაზე (ტურზე) გამოცხადდეს შესაბამის სპორტულ ფორმაში, 30 წუთით ადრე, მითითებულ მისამართზე და თან იქონიოს პირადობის დამადასტურებელი მოწმობა და სპორტული ტურის საიდენტიფიკაციო ბარათი;
2. საიდენტიფიკაციო ბარათი წარმოადგენს საშვს მისაღებ გამოცდაზე (ტურზე);
3. კონკურსის დაწყებამდე მიმღები კომისიის თავმჯდომარე მოკლედ გააცნობს პირებს სპორტული ტურის ჩატარებისა და მუშაობის წესებს, მათ უფლება- მოვალეობებს;
4. სპორტული ტურის მიმდინარეობას მოემსახურება სასწრაფო დახმარების ბრიგადა.

მუხლი 5. პირის უფლება-მოვალეობანი

1. პირი ვალდებულია:

სპორტული ტურის ნორმატივების ჩაბარებისას დაიცვას მსაჯობის წესები, ზუსტად შეასრულოს მიმღები კომისიის ინსტრუქციები და დაემორჩილოს მათ გადაწყვეტილებებს;

2. კონკურსის მსვლელობისას პირს ეკრძალება:

- ა. სხვა პირისათვის რაიმე ფორმით ხელის შეშლა;
- ბ. კონკურსის ადგილის უნებართვოდ დატოვება;
3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით გათვალისწინებული მოთხოვნების დარღვევის შემთხვევაში, პირს მიეცემა გაფრთხილება, რაც ფორმდება ოქმით.
4. გაფრთხილების მიუხედავად, მოთხოვნების განმეორებითი დარღვევის შემთხვევაში ფორმდება ოქმი პირის სპორტული ტურიდან მოხსნის შესახებ.

მუხლი 6. სპორტული ტურის შედეგების გამოქვეყნება

შედეგები ქვეყნდება ტურის დამთავრებიდან არაუგვიანეს 3 დღის ვადაში, ელექტრონულ ფორმატში კოლეჯის ოფიციალურ ვებ-გვერდზე.

მუხლი 7. სპორტული ტურის შედეგებთან დაკავშირებული პრეტენზიების წარდგენა და განხილვა

1. სპორტული ტურის ფარგლებში წარმოშობილი დავები განიხილება საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მიერ.
2. პირი უფლებამოსილია, შეიტანოს სააპელაციო განცხადება დირექტორის ბრძანებით შექმნილ საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის სახელზე სპორტული ტურის შედეგების გამოცხადებიდან 24 საათის განმავლობაში. საპრეტენზიო განაცხადი საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის სახელზე ბარდება კოლეჯის კანცელარიაში.
3. საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მიერ საპრეტენზიო განაცხადების განხილვის დასრულების შემდეგ პირს ეცნობება ინფორმაცია სპორტული ტურის საბოლოო შედეგების შესახებ.
4. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება საბოლოოა.
5. სააპელაციო კომისიის გადაწყვეტილება განაცხადის განხილვასთან დაკავშირებით ფორმდება წერილობით.

მუხლი 8. სპორტული ტურის საბოლოო შეფასების დოკუმენტები

1. სპორტული ტურის დასრულების შემდეგ და საპრეტენზიო/სააპელაციო კომისიის მიერ პირთა პრეტენზიების განხილვიდან და გადაწყვეტილების მიღებიდან არაუგვიანეს 2 დღისა, სპორტული ტურის მიმღები კომისია თავმჯდომარეს წარუდგენს კონკურსგავლილი პირების სიას საბოლოო შედეგების მითითებით, რის შემდეგაც დოკუმენტაცია იგზავნება გამოცდების ეროვნულ ცენტრში და გამოქვეყნდება საჯაროდ.

დანართი 1

სპეციალობა - მწვრთნელი (სპორტის სახეობების მიხედვით)

მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა (მაქსიმალური 75 ქულა)

ვაჟები					
რბენა 500მ.		ადგ. სიგრძეზე		ლერძეაზიდვა	
/ წთ., წმ./		ხტომა/ სმ. /		/ რ-ბა /	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
1.30,0	25	230	25	25	25
1.31,0	24	229	24	24	24
1.32,0	23	228	23	23	23
1.33,0	22	227	22	22	22
1.34,0	21	226	21	21	21
1.35,0	20	225	20	20	20
1.37,0	19	224	19	19	19
1.39,0	18	223	18	18	18
1.41,0	17	222	17	17	17
1.43,0	16	221	16	16	16
1.45,0	15	220	15	15	15
1.47,0	14	219	14	14	14
1.49,0	13	218	13	13	13
1.51,0	12	217	12	12	12
1.53,0	11	216	11	11	11
1.55,0	10	215	10	10	10
1.56,0	9	214	9	9	9
1.57,0	8	213	8	8	8
1.58,0	7	212	7	7	7
1.59,0	6	211	6	6	6
2.00,0	5	210	5	5	5
2.01,0	2	209	2	2	2
2.02,0	3	208	3	3	3
2.03,0	2	207	2	2	2
2.04,0	1	206	1	1	1

სპეციალობა - მწვრთნელი (სპორტის სახეობების მიხედვით)

მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა (მაქსიმალური 75 ქულა)

ქალები					
რბენა 100 მ. /წმ./		ადგ. სიგრძეზე ხტომა/ სმ. /		მკლავების მოხრა გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე / რ-ბა /	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
14,5	25	190	25	25	25
14,6	24	189	24	24	24
14,7	23	188	23	23	23
14,8	22	187	22	22	22
14,9	21	186	21	21	21
15,0	20	185	20	20	20
15,1	19	184	19	19	19
15,2	18	183	18	18	18
15,3	17	182	17	17	17
15,4	16	181	16	16	16
15,5	15	180	15	15	15
15,6	14	179	14	14	14
15,7	13	178	13	13	13
15,8	12	177	12	12	12
15,9	11	176	11	11	11
16,0	10	175	10	10	10
16,1	9	174	9	9	9
16,2	8	173	8	8	8
16,3	7	172	7	7	7
16,4	6	171	6	6	6
16,5	5	170	5	5	5
16,6	2	169	2	2	2
16,7	3	168	3	3	3
16,8	2	167	2	2	2
16,9	1	166	1	1	1

დანართი2

სპეციალობა - სამთო გამყოლი

მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა (მაქსიმალური 75 ქულა)

ვაჟები					
რბენა 500მ.		ადგ. სიგრძეზე		ლერძეაზიდვა	
/ წთ., წმ./		ხტომა/ სმ. /		/ რ-ბა /	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
1.30,0	25	230	25	25	25
1.31,0	24	229	24	24	24
1.32,0	23	228	23	23	23
1.33,0	22	227	22	22	22
1.34,0	21	226	21	21	21
1.35,0	20	225	20	20	20
1.37,0	19	224	19	19	19
1.39,0	18	223	18	18	18
1.41,0	17	222	17	17	17
1.43,0	16	221	16	16	16
1.45,0	15	220	15	15	15
1.47,0	14	219	14	14	14
1.49,0	13	218	13	13	13
1.51,0	12	217	12	12	12
1.53,0	11	216	11	11	11
1.55,0	10	215	10	10	10
1.56,0	9	214	9	9	9
1.57,0	8	213	8	8	8
1.58,0	7	212	7	7	7
1.59,0	6	211	6	6	6
2.00,0	5	210	5	5	5
2.01,0	2	209	2	2	2
2.02,0	3	208	3	3	3
2.03,0	2	207	2	2	2
2.04,0	1	206	1	1	1

სპეციალობა - სამთო გამყოლი

მინიმალური კომპეტენციის ზღვარია 20 ქულა (მაქსიმალური 75 ქულა)

ქალები					
რბენა 100 მ. /წმ./		ადგ. სიგრძეზე ხტომა/ სმ. /		მკლავების მოხრა გაშლა ტანვარჯიშულ სკამზე / რ-ბა /	
შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა	შედეგი	ქულა
14,5	25	190	25	25	25
14,6	24	189	24	24	24
14,7	23	188	23	23	23
14,8	22	187	22	22	22
14,9	21	186	21	21	21
15,0	20	185	20	20	20
15,1	19	184	19	19	19
15,2	18	183	18	18	18
15,3	17	182	17	17	17
15,4	16	181	16	16	16
15,5	15	180	15	15	15
15,6	14	179	14	14	14
15,7	13	178	13	13	13
15,8	12	177	12	12	12
15,9	11	176	11	11	11
16,0	10	175	10	10	10
16,1	9	174	9	9	9
16,2	8	173	8	8	8
16,3	7	172	7	7	7
16,4	6	171	6	6	6
16,5	5	170	5	5	5
16,6	2	169	2	2	2
16,7	3	168	3	3	3
16,8	2	167	2	2	2
16,9	1	166	1	1	1